

საზოგადოებრივი მუნიციპალიტეტი

შეცდომა თუ  
დანაშაული?!

ნაწილი 11

თბილისი 2005 წ.



## „საერთაშორისო სავალუტო ფონდი – სიკეთე თუ ბოროტება“! \*

ქვეყანა იმით კი არ არის უძლური,  
რომ დარიბია, არამედ იმით, რომ  
მცოდნე, გონება-გახსნილი,  
გულ-ანთებული კაცები არა ჰყავს!“  
**ილია**

არც ერთი მიზანი არ არის იმდენად  
ამაღლებული, რომ უღირსი საშუალება  
გააძართოს მის მისაღწევად.  
**აინშტაინი**

„2004 წელს 1990 წელთან შედარებით ქვეყნის სა-  
მარეწველო საწარმოების მიერ წარმოებულ იქნა 4,1-ჯერ  
ნაკლები სამრეწველო პროდუქცია. ჩამორჩენა აღინიშნე-  
ბოდა მრეწველობის ეკონომიკური საქმიანობის ყველა ძი-  
რითად სფეროში; კერძოდ, დამამუშავებელ მრეწველობაში  
წარმოების მოცულობამ 1990 წლის დონის 22,2 პროცე-  
ნტი შეადგინა, სამთომომპოვებელი მრეწველობასა და კა-  
რიერების დამუშავებაში – 51,6 პროცენტი, ელექტროენე-  
რიკის დამუშავებაში – 51,6 პროცენტი, ელექტროენე-

---

\* (სათაური აღებულია ცნობილი მეწარმის, ბატონ გოგი თოფაძის შე-  
საბამისი წიგნიდან).

რგიის წარმოება-განაწილებაში, აირისა და წყალმომარა-გებაში – 55,5 პროცენტი. სამრეწველო პროდუქციის მო-ცულობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 2004 წელს 1990 წელთან შედარებით – 11,4 პროცენტით შე-მცირდა. ქვეყნის მრეწველობაში 1990-2004 წლებში ად-გილი ჰქონდა დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას. ასე მაგალითად, თუ 1990 წელს მრეწველობაში დასაქმე-ბული იყო 459,4 ათასი კაცი, 2004 წელს მათი რაოდე-ნობა თითქმის 6-ჯერ შემცირდა და 80,2 ათასი კაცი შე-ადგინა“.

წარმოდგენილი ანალიტიკური ინფორმაცია აღებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამე-ნტის ოფიციალური ინფორმაციიდან. აქ ჩვენი შემოქმე-დება, რომ იტყვიან ნულის ჭოლია. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენეული ანალიზი შეიძლება ვინმემ ტენდენციალურო-ბაში ჩავვითვალოს. თუმცა, ხმამაღლა ნათქვამად თუ არ ჩამოვლება, სწორედ ეს არის ჩემი ხელობა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ერთი წინადადებით კი, აღნიშნულის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ სამწუხაროდ, ქვეყანას დღემდე არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების კონცეფცია, ანუ არ ვიცით რა გვინდა, საით მივდივართ, რა პერსპე-ქტივა გვაქვს და ა.შ.!

ახლა კი მივუბრუნდეთ განსახილველ საკითხს და ვი-დრე ჩემს დღევანდელ პოზიციას ჩამოვაყალიბებ, თავს ნე-ბას მივცემ გაგაცნოთ საერთაშორისო სავალუტო ფო-ნდთან დაკავშირებით, რამდენიმე წლის წინ ჩვენს მიერ დაფიქსირებული პოზიცია:

„საქართველოში ამ ორგანიზაციების ფორმირება და

მათი საქმიანობა რომ იტყვიან, ჩემს თვალწინ მიდიოთდა. (ამ პერიოდში, მთავრობაში ვმუშაობდი) და ამიტომ თითქმის ყველა შეხვედრისა და მუშა თათბირის მონაწილე ვიყავი. დიდი დრო არ დამჭირვებია, რომ ჩემი აზრი ჩამომეყალიბებინა მათი საქმიანობის დადებითი და უარყოფითი შხარეების შესახებ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და ამის თაობაზე პირველმა დავაფიქსირე ჩემი პოზიცია ჯერ სურსათის სამთავრობო კომისიის და შემდეგ მთავრობის სხდომაზე. პრინციპულად დავუყენე საკითხი მაშინდელი მინისტრთა კაბინეტის სელმძღვანელობას, რომ დაინტერესებული მხარეები, მეწარმეების ჩათვლით სასწრაფოდ დავმსხდარიყვით საერთაშორისო სავალუტო ფონდის სელმძღვანელობასთან ერთად და გვემსჯელა მთელი რიგი პრინციპული საკითხების თაობაზე. ამ მოთხოვნამ ის შედეგები გამოიღო, რომ ერთ-ერთი ვიცე-პრემიერი, მე და ბატონი შადმან ვალავი შეგვახვედრეს ერთმანეთს, პირისპირ.

ქართული სტუმარმასპინძლობის პრინციპიდან გამომდინარე, ამ უთანასწორო ბრძოლაში, წინასწარ ვგრძნობდი, რომ შეხვედრა ჩემს სასარგებლოდ არ დამთავრდებოდა. ის მხარე ყველა საკითხს სუფთად საბაზრო პრინციპებით უდგებოდა და ქვეყნის არავითარი წეს-ჩვეულების, ქართველი კაცის ბუნების და ჩვენი ქვეყნისა და ხალხის თავისებურებების შესახებ არაფრის მოსმენა არ აინტერესებდა. უფრო მეტიც, იმასაც ვერ გებულობდა, თუ რატომ ვერ გამაგებინა, რომ თუ გლეხისათვის საზამთრო ან მზესუმზირა უფრო მეტი

მოგების მომტანი იქნებოდა, რატომ არ უნდა აეჩეხა ვენახი და რატომ არ უნდა მოეყვანა მის ნაცვლად უფრო მეტი მოგების მომტანი სხვა კულტურა. როგორ გინდა გააგებინო უცხო კაცს, თუ რას ნიშნავს საქართველოსათვის თუნდაც ნებისმიერი გლეხისათვის „შვილივით ნაზარდი“ ვაზის აჩეხვა. ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის პრობლემებზე, რომ დავიწყეთ საუბარი, გაკვირვებული მიყურებდა და მიმტკიცებდა, რომ ქვეყნამ არ უნდა აწარმოოს საქონელი, თუ ასეთივე საქონელი სხვა ქვეყანაში უფრო იაფი ჯდებათ. ჩვენი საწარმოების უმოქმედობას და გაჩანავებას კონომიკურ კანონზომიერებად მიიჩნევდა. ერთი სიტყვით, სხვადასხვა პოლუსზე მდგარმა სპეციალისტებმა ერთმანეთს ვერ გავუგეთ. დაძაბულობის კულტინაციაშ თბილისის მეტროპოლიტენის ფუნქციონირების მიზანშეწონილობის პრობლემაზე მსჯელობისას მიაღწია. მეტრო ვასენე თუ არა ფერი ეცვალა და გულმოსულმა გამომიცხადა: რა გახდა ბოლოს და ბოლოს ეს თბილისის მეტროპოლიტენი. რამდენი თბილისზე დიდი ქალაქი არსებობს მსოფლიოში და მეტრო არა აქვთ და ქვეყანა არ იქცევათ. ბოლოს რომ ბრძანა, რადგან თბილისის მეტროპოლიტენი არარენტაბელური ორგანიზაცია და მისი შემდგომი ფუნქციონირება გაუმართდებელიათ, დავრწმუნდი, რომ ეს კაცი (შეიძლება ეს ორგანიზაციაც) შემოგზავნილია და მასთან დავის აზრი არ ჰქონდა. უაზრო კამათი დროზე ადრე შევწყვიტეთ“ („მხოლოდ თანადგომა გადაგვარჩენს – დიალოგი მეგობართან“, თბილისი, 1998წ).

ხმამაღლა ვამბობდი და დღესაც ვაცხადებ, რომ ზემოთ  
აღნიშნული ორგანიზაციების სტრატეგიული მიზანია და-  
მოკეთებლობის გზაზე ძლიერი ქვეყნების სოციალურ-  
ეკონომიკური პოტენციალის შესუსტება, რის შედეგადაც  
ესა თუ ის ქვეყნა მისი მრავალმხრივი, რეალური პოტე-  
ნციალის მიუხდავად მწარმოებელი ქვეყნიდან მომზმარე-  
ბელ საზოგადოებად გადაქციონ. ვინც ჩვენს მოსაზრებას  
არასწორად ან არაობიერტურად ჩათვლის, ვთხოვ პასუხი  
გასცეს ერთ შეკითხვას: საერთაშორისო ეკონომიკური,  
ფინანსური და სხვა ორგანიზაციებიდან „დახმარების“ ეგი-  
დით მიღებული ორ მიღლიარდზე მეტი აშშ დოლარიდან,  
რამდენი დოლარი მოხმარდა ქვეყნის ეკონომიკის აღმა-  
ვლობას (მატერიალური წარმოების სფერო გვაქვს მხე-  
დველობაში) და ამის შედეგად რამდენი სტაბილური სა-  
მუშაო ადგილი შეიქმნა? შეკითხვას იმიტომ კი არ  
ვსვამთ, რომ სათანადო ინფორმაციაზე ხელი არ მიგვი-  
წვდება, არამედ იმიტომ, რომ ზემოთ აღნიშნული ორგა-  
ნიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები ანუ  
„ჩვენი მეგობრები“ კაპიტალისტური წარმოების წესიდან  
გამომდინარე, უბრალოდ არ შეიძლება დაინტერესებული  
იყვნენ ანალოგიურ ქვეყნებში წარმოების განვითარებით.  
უფრო მეტიც, მსოფლიოში განთქმული მეცნიერები და  
ცნობილი ექსპერტები მათ მიმართ არ იშურებდნენ ისეთ  
ფრთიან ფრაზებს, როგორებიცაა: „საფინანსო კოლონილი-  
ზმი“, „საფინანსო იმპერიალიზმი“, „ნეოკოლინიალიზმი“,  
„გენოციდი“ და მრავალი სხვა.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასვენათ, რომ მი-  
ამიტობად ან უფრო ზუსტად – შეგნებულ, წინასწარგა-

მიზნულ დანაშაულებრივ ქმედებად უნდა ვაღიაროთ იმ ხელისუფალთა „მოღვაწეობა“, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ კრედიტებითა და გრანტებით მიღებული შემოსავლები ჩვენი ქვეყნის ფეხზე დადგომისა და წელში გამართვის მიზნით იყო და არის გამოყენებული.

ჩემს აღმოჩენად არ ჩაითვლება, არადა რა აღმოჩენაზეა საუბარი, როდესაც მთელ ქვეყნაში, საითაც არ უნდა გაიხედოთ გულს გიკლავს ყოფილი მოქმედი ფაბრიკა-ქარხნები. რაც გასაზიდი იყო, დაწყებული დაზგა-დანადგარებით და დამთავრებული კარ-ფანჯრებით, უკვე გაზიდულია (სად და რა ფასად ეს ცალკე საუბრის თემაა). ახლა რკინა-ბეჭონის კონსტრუქციების დაშლის ჯერი დადგა! ჩვენი თეორეტიკოსები, განსაკუთრებით კი ისინი, ვისაც იმ პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში უმაღლესი თანამდებობები ეკავათ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის დაქცევისათვის გამიზნულ რეკომენდაციებს განუხრელად ახორციელებდნენ სამწუხაროდ, ამ საქმეში, მათი უმრავლესობის ფინანსური ინტერესებიც იყო ჩადებული. ამაზე ცოტა ქვემოთ, არადა, ამ „მოღვაწეებს“ თითოეული ამ საწარმოს რესტრუქტურიზაციის გეგმა რომ შეემუშავებინა (თუნდაც სახელმწიფო პროტექციონიზმის პრინციპიდან გამომდინარე) და მათი რეაბილიტაციისათვის დაეხარჯათ დრო, უზარმაზარი გრანტები, კრედიტები და სხვა საშუალებები, მაშინ დაახლოებით მაიც გვექნებოდა ისეთი სურათი, როგორიც თუნდაც ჩვენს უხლოეს მეზობელ პოსტკომუნისტურ ქვეყნებშია.

ეს სამწუხარო რეალობაა, რომლის შედეგებს მომავა-

ლში ჩვენი შვილები მოიმკიან. სამწუხაროდ, ჩვენთან ნო-  
კიერი ნიადაგი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საერთაშორისო  
საფინანსო ორგანიზაციებისა და ჩვენი სახელმწიფო „მო-  
ლევაწების“ ხელშეწყობითა და გვერდში დგომით, ხელმა-  
ხელი დაბანა და საქართველოს დამონების ახალი ფო-  
რმები და მასშტაბები შესძინა.

ტრადიციას არ ვუდალატებ და ამ შემთხვევაშიც „ურ-  
მის გადაბრუნებამდე“, ოფიციალურ პრესაში ჩემს მიერ  
დაფიქსირებულ პოზიციებს გაგაცნობთ. პირველ რიგში  
გავიხსენოთ ცნობილი ეროვნული მოღვაწის, მწერალ გუ-  
რამ ფანჯარიძის შეშფოთების გამომხატველი რამდენიმე  
შეკითხვა: „ვინ არიან ის პიროვნებანი, რომელთა ხე-  
ლში თავს იყრის მთელი ქვეყნის, ეროვნული სიმდი-  
დრე? იქნებ დაგვისახელოთ ის პიროვნებანი, რომლე-  
ბიც გარკვეულ დარგებში იბრძვიან მონოპოლიისათვის.  
ვის ეკუთვნის ის სასახლეები, ამ სიტყვის პირდაპირი  
მნიშვნელობით, თბილისსა და თბილისის გარეუბნებში  
რომ შენდება აშკარად, მოურიდებლად და უტიფრად?  
ვინ არიან ის ადამიარები, ვინც არად აგდებენ ხალხის  
საყოველოთათ გაჭირვებას“ (გაზეთი „საქართველოს რე-  
სპუბლიკა“, 1997 წლის 31 ოქტომბერი).

ახლა კი ჩემი პოზიციები, რომლებიც სხვადასხვა დრო-  
საა გამოქვეყნებული:

„ჩვენმა „კეთილის მსურველმა“ გადამთიელებმა, სა-  
ფუძვლიანად გააანალიზეს ჩვენი მენტალიტეტი, მთა-  
ვრობაში მყოფი ზოგიერთი ჩინოვნიკის დახმარებით ნო-  
კიერი ნიადაგი აღმოაჩინეს თავიანთი ზრასვების განსა-  
ხორციელებლად და მათივე ხელშეწყობით დაიწყეს

„დახმარების“ სხვადასხვა ფორმის გამოყენება ყოველგვარი ქართულის დასასამარებლად“ (გაზ. „სარკმელი საქართველოსი“, სექტემბერი, 2001 წ.).

„ქვეყანაში ჯერჯერობით ისევ მძლავრობენ ნეგატიური მოვლენები, რომელებიც არა თუ დაბრკოლებებს, არამედ რეალურ საფრთხეს უქმნიან ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებას, რაც გადამჭრელი ზომების მიღების აუცილებლობას მიუთითებს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, სექტემბერი, 2000 წ.).

„ჩვენი „მეგობრების“ მთავარი მიზანი თვითმყოფადი, პატარა ერების განადგურებაა, რომელთაც გამორჩეული კულტურა და წეს-ჩვეულებანი გააჩნიათ. ისინი მიზანმიმართულად ახორციელებენ მოსახლეობის შემცირებას, არნახული ტემპებით ზრდიან უმუშევრობას. მათ ამ ერების „გადარჩნის“ ერთადერთ გზად უფასო სასადიელობის გახსნა მიაჩნიათ“ („დილის გაზეთი“, სექტემბერი, 2002წ).

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი ქმედების თავი და თავი სახელმწიფოში საკადრო პოლიტიკაში დაშვებული უხეში შეცდომები იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემთხვევით მოხვედრილმა ბევრმა პიროვნებამ საზოგადოებაში თავიანთი მდგომარეობის დამკვიდრებისათვის, უზომო მატერიალურ მდგომარეობასთან ერთად, ყოველშემთხვევისათვის, თავიანთი განსწავლულობის დამადასტურებელი სამეცნიერო ხარისხების დიპლომებიც შემოდეს თაროებზე.

სწორედ მათი მისამართით გავაკეთეთ თავის დროზე ერთი „განცხადება“, რომელიც 2002 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

„ვისაც რაიმე შეხება ჰქონია ასპირანტურასთან, მა- ძიებლობასთან, საკანდიდატო მინიმუმით განსა- ზღვრული საგნების ჩაბარებასთან, ავტორეფერატის მომზადებასთან, დისერტაციის დაცვასთან, ნალდ მე- ცნიერ-ხელმძღვანელთან, წესიერ ოპონენტთან და სა- მეცნიერო საბჭოსთან, დაგვეთანხმება, რომ ამა თუ ის სამეცნიერო ხარისხის მოხაპოვებლად შესრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადება დაკავშირებუ- ლია ხანგრძლივ სერიოზული შრომასთან, რომლის დროსაც გარკვეული ხნით მაიც გვერდზე უნდა გა- დადო ბევრი პირადული და მითუმეტეს, ურთულეს სა- ხელმწიფოებრივ პრობლემებზე ზრუნვა, რასაც დაკა- ვებული თანამდებობა გავალდებულებს. ასეთ პირობე- ბში, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ნამდვილად გაუგებარია, როგორ ახერხებენ უმაღლესი რანგის ჩი- ნოვნიკები (მინისტრი, გუბერნატორი, პარლამენტი და სხვა) თანამდებობებზე ყოფნის პერიოდში სადისე- რტაციო ნაშრომების შესრულებას და დაცვას. ვისაც დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ევალება, სასუ- რველია დროულად დაინტერესდეს აღნიშნული პრო- ბლემით, რათა ქვეყანა ვისნათ ამ არაჯანსაღი ვირუ- სისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოებას არაერთი მძიმე შეკითხვა გაუჩნდება, რაზედაც პასუხის გაუცემლობა ბევრ უხერხელობას შექმნის“.

აღბათ, სწორედ ასეთმა შემთხვევითმა „მეცნიერე-

ბმა” ათქმევინეს საქართველოს დამსახურებულ ეკონომისტს, ბატონ ვაჟა ფარულავას მისი ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული, ფრთიანი ფრაზა: „ყველა ვინც ეკონომიკას პრეზიდენტზე უკეთ ფლობდა, ვისაც სამეცნიერო ხარისხები ჰქონდა, შევარდნაძეს რომ ეკონომისტი ეგონა, ეკონომიკა ამიტომაც გათახსირდა” (ჟურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“ №11-12, დეკემბერი, 2004 წ. გვ.14).

სიტყვამ მოიტანა და ბარემ ერთ პატარა ამონარიდსაც გაგაცნობთ ჩემი წიგნიდან „მხოლოდ თანადგომა გადაგვარჩენს“:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის დამთავრების წელსვე, როგორც გამონაკლისი, ორწლიანი საწარმოო სტაჟის გარეშე ნება დამრთეს, მისაღები გამოცდები ჩამებარებინა ასპირანტურაში. სპეციალობაში კომისიის თავმჯდომარე იყო ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ვალერიან მელქაძე, კომისიის წევრებს შორის იყო პროფ. კოკი გაბუნიაც. საკითხებზე პასუხი 15-20 წელში დავამთავრე, მაგრამ დამატებით შეკითხვებზე, რომლებსაც კომისიის თავმჯდომარე მაძლევდა, პასუხის გაცემა ერთ საათს მაიც გაგრძელდა. პროფ. კ. გაბუნიამ, ისე, რომ მე ადგილად შევამჩნიე, ინსტიტუტის დირექტორს ანიშნა, ეყოფაო. მან ხმამაღლა უპასუხა, ვიცი რომ ეყოფა, მაგრამ მსიამოვნებს ამ ასაღვაზრდის პასუხი და ცოტა კიდევ მაცალეო (სხვათაშორის, ასეთ სიამოვნებაზე ხანდახან მეც ვერ ვამბობდი უარს, როცა თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტში წლების მანძილზე მიწვეული ვიყავი სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ). როგორც იქნა, თავი დამანება და შედეგის გამოცხადებამდე პირველმა მომილოცა ასპირანტობა... სამი თემა და სამი მეცნიერ ხელმძღვანელი გამოვიცვალე, პრაქტიკულად სამივე ნაშრომი დაგამთავრე, მაგრამ საკითხი ბოლომდე მაინც არ მივიყვანე. არსებული მოთხოვნილების შესაბამისად, ეკონომიკის დარგში სადისერტაციო შრომის დიდი ნაწილი უნდა დათმობოდა კომპარტიის ლიდერებისა და მათი ეკონომიკური პოლიტიკის ქება-დიდებას. რაც პქონდათ მათ საქებარ-სადიდებელი ახლა ხომ მაინც გამოჩნდა. ამას რომ თავი დავანებოთ, თვით უკუღმად აწყობილი მთელი რიგი ეკონომიკური კატეგორიების ანალიზს ხშირად აბსურდამდე მიჰყავდა მკვლევარი. ერთი სიტყვით, ვერ შევძელი იმის მტკიცება, რაც მე თვითონ არ მწამდა“.

# რეგულირება თუ დერეგულირება

ჩვენს გარეთ ჩვენი წსნა სიზმარია: ჩვენს ქვეყნას მხოლოდ ჩვენვე შეგვიძლია დავუბრუნოთ მისი ძველი ისტორიული იერ-სახე.

## ილია

სიმდიდრე არის არა განმთა მფლობელობა, არამედ მისი გამოყენების ნიჭი. ნაკოლეონი

სახელმწიფო რეგულირების გარეშე საბაზისო ეკონომიკა ნებისმიერ ქვეყანაში განწირებულია.

პ. კეინი

აღმასრულებელი წელისუფლების სხვადასხვა ეშელონებში (რომ იტყვიან: „ყველა მთავრობა გამოვიცვალე“) ჩემს საკმაოდ ხანგრძლივ მოღვაწეობას, თამამი აზრებისა და მკვეთრი გამონათქვამების გამო, ბევრი სირთულე და კურიოზი ახლდა. განსაკუთრებული პრობლემები ეგრეთ წოდებული ვაირეფორმატორებისაგან და მათ მიერ დაქირავებული ჟურნალისტებისაგან მექმნებოდა. ერთ-ერთმა მათგანმა, გაზეთის მეშვეობით, საბაზო ეკონომიკის

მტრადაც კი გამომაცხადა. როგორც წესი, ჩემმა რეაქცია ამ არ დააყოვნა და ვაიოპონენტს ამავე გაზეთის მეშვეობით, შემდეგივე ნომერში ვაახლე სათანადო პასუხი, რომელსაც „პასუხის მაგიერი“ დავარქვი. გთავაზობთ ამ წერილის შემცირებულ ვერსიას.

„თქვენი სტატიის გამოქვეყნების მიზანი ვერ ავსხენი, მით უმეტეს, რომ ჩვენი თითქმის ყოველდღიური პირადი თუ ოფიციალური შეხვედრების დროს ერთხელაც არ წამოგცდენიათ რაიმე განსხვავებული მოსაზრება ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულ და არაერთხელ თქვენი თანდასწრებით თითქმის ყველა დონის შეხვედრებზე გამოთქმული პოზიციების გამო. ერთადერთი გამართლება თქვენს ამ ქმედებას შეიძლება ის მოეძებნოს, რომ ამ ხნის განმავლობაში თქვენ თანამედროვე ეკონომიკის საკითხებში ცოდნას იმაღლებდით და ემზადებოდით ჩემთან საპაექროდ. თუ ასეა, კეთილი და პატიოსანი. ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემ ბატონი... თქვენთან გავმართო კამათი იმ საკითხებზე, რომლებშიც თქვენ საბაზრო ეკონომიკის აპოლოგეტად წარმოგიდვენიათ თავი. რატომ? იმიტომ, რომ დათა თუ-თაშნიასი არ იყოს, საკმაო პროფესიული უპირატესობა მაქვს და გაუმართლებლად მიმაჩნია ამ საკითხებზე თქვენთან საგაზირო პაექრობა. თუ მართლა გადაწყვეტო საბაზრო ეკონომიკის საკითხებზე ჩემთან კამათს, დავსხდეთ პირისპირ თქვენ და თქვენი თანამოაზრენი და ციფილიზებული წესით ვუმტკიცოთ ერთმანეთს ჩვენი მოსაზრებები“.

პატივისცემით ანზორ ბაბუხადია

ახლა კი თავს უფლებას ვაძლევ გაგაცნოთ დამოუკი-  
დებელი ქვეყნის ეკონომიკის შშენებლობის პირველ წლე-  
ბში ოფიციალურ დოკუმენტებში დაფიქსირებული რამდე-  
ნიმე თეზისი, რის გამოც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ,  
ცალკეული ჩინოსანი ოპნენტისაგან სერიოზული პრო-  
ბლემები მექმნებოდა. აი რამდენიმე მათგანიც:

„საბაზრო ეკონომიკა კატასტროფისგან გადარჩენის  
ერთადერთი საშუალებაა, ოღონდ, მანამდე ტანჯვის  
გზებს ვერ ავცდებით...“

„სამინისტროები ამჟამინდელი „განმკარგულებელი“  
ორგანოებიდან უნდა გადაიქცენ მათ დაქვემდებარე-  
ბაში შემავალი ორგანიზაციების (ობიექტების) პარტნი-  
ორებად და კოორდინატორებად“.

„საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ყოველგვარი შე-  
სლუდვა და აკრძალვა უნდა მოიხსოს, მაგრამ ვიმედო-  
ვნებ, რომ საბაზრო ეკონომიკა არ ნიშნავს „ბაზარს“  
ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. სახელმწიფოს შესაბა-  
მისმა სტრუქტურებმა უნდა მართონ ქვეყანაში მიმდი-  
ნარე ძირითადი პროცესები“. .

„თუ გვინდა თავი დავაღწიოთ ქვეყნის ეკონომიკაში  
შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობას, აუცილებე-  
ლია, გარდამავალ პერიოდში სახელმწიფომ თავის ხე-  
ლში აიღოს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული რესუ-  
რსების მართვა“. .

„თუ სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ქვეყნის მოსა-  
ხლეობის სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნილებე-  
ბის ელემენტარულ დონეზე დაკმაყოფილება მაინც, მა-  
შინ ის არ იქნება სახელმწიფო და არც მისი რომელიც

გნებავთ, სტრუქტურა აღარ იქნება საჭირო. ამ საკი-  
თხში ვერც იმ პოზიციას გავიზიარებ, რომ ყველა ქა-  
ლაქმა, რაიონშია ან რეგიონშია თავისი რესურსები და-  
მოუკიდებლად წარმართოს თავისი მოთხოვნილების  
დასაკმაყოფილებლად“.

„გარდამავალ პერიოდში სტრატეგიული მნიშვნე-  
ლობის საქონლის გატანა-შემოტანის საქმეში ქვეყნის  
დონეზე კოორდინაცია და კონტროლი უნდა გაეწიოს  
მის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა უწყე-  
ბას, ორგანიზაციას, საწარმოს თუ დაწესებულებას...“

„ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურების მუშაობის შეფა-  
სების ძირითად კრიტერიუმად უნდა იქცეს შიდა ბაზა-  
რზე სასაქონლო პროდუქციის სიუხვის შექმნის მიმა-  
რთულებით მიღწეული შედეგები“.

„მოსახლეობის სოციალური დაცვის პასუხისმგე-  
ბლობა სახელმწიფოს ეკისრება, ხოლო სახელმწიფოსი  
— თითოეულ ჩვენგანს“.

ეკონომიკურ მეცნიერებაში, განსახილველ პრობლემე-  
ბთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებულ აზრე-  
ბსა და პოზიციებს ვხვდებით, რაც საკითხის აქტუალო-  
ბას კიდევ უფრო ზრდის და აქედან გამომდინარე, საკუ-  
თარი პოზიციის დაფიქსირების აუცილებლობა დააყენა  
დღის წესრიგში.

ვიდრე პრობლემის რეალურ განხილვას შევუდგებით,  
ადრე გამოქვეყნებული თეზისების მეშვეობით, გავეცნოთ  
ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ ორ პოზი-  
ციას.

ერთის, ანუ ამ შემთხვევაში პირველის ავტორი გახლა-

ვართ მე, ანზორ ბაბუხაძია, რიგითი პრაქტიკოსი ეკონო-  
მისტი (მეცნიერ ეკონომისტის მძიმე ტვირთის ზიდვა რა-  
ტომ ვერ შევძელი ამაზე უკვე მოგახსენეთ), ხოლო მე-  
ორესი – ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი, თეორეტიკოსი,  
მრავალი უცხოური აკადემიის წევრი, პროფესორი ვლა-  
დიმერ პაპავა.

მაშ ასე, მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ:

„ქვეყნის არასწორი ეკონომიკური სტრატეგიის გამო  
დაიცალა ქართული სოფელი, გაჩანაგდა ეროვნული  
მეურნეობა, რაც ეკონომისტთა ენაზე განაპირობა ში-  
და ბაზრის დაუცველობამ, რის გამოც ჩვენს ქვეყანაში  
წარმოებული პროდუქცია არარენტაბელური, ანუ ზა-  
რალიიანი გახდა“. (გაზეთი „ლიტერატურული საქართა-  
ელო“, ნოემბერი, 2002 წელი).

„როცა შიდა ბაზრის დაუცველობაზე ვლაპარაკობ,  
ვგულისხმობ, რომ შექმნილი კატასტროფული მდგომა-  
რეობის გამო, ქართველი გლეხი მასობრივად ტოვებს  
სოფელს და ლუგმა-პურს ისედაც გაღატაკებულ ქალა-  
ქში დაეძებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის დოვლათის  
შემქმნელი, მომხმარებლად ვაქციეთ. ანალოგიური  
მდგომარეობაა ქალაქში. კვალიფიციური ქართველი  
მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალური ფაბრიკე-  
ბისა და ქარხნების მიღმა დარჩა. ეს იმის შედეგია,  
რომ რეალურ ფასად შექმნილი მისი პროდუქცია, ბა-  
ზრიდან განდევნა დემპინგურმა, ანუ ჩვენი დაჩოქები-  
სათვის სელოვნკრად ჩამოყალიბებულმა ფასებმა. მსო-  
ფლიონს ნებისმიერ სახელმწიფოში ეს პროცესები ეკო-  
ნომიკური ბერკეტებით რეგულირდება, ჩვენთან კი პი-

რიქით ხდება – ამ ბერკეტების არასწორად გამოყენებამ, ჩვენი ქვეყნის წარმოება მოშალა და დაანგრია.

საბედნიეროდ, ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ჯერ კიდევ არსებობს. ჩვენი ქვეყნის ტრადიციული და პრიორიტეტული დარღები კვლავ აღორძინდება, თუ პარლამენტი, ჩვენს მიერ შემუშავებული მოთხოვნების გათვალისწინებით განსაზღვრავს და დაამტკიცებს ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ახალ პოლიტიკას". (გაზეთი „რეზონანსი“, იანვარი, 1999 წელი).

„ერთხელ კიდევ ვამბობ. იმის გამო, რომ ქვეყანას არ გააჩნია ეკონომიკის განვითარების ეტაპობრივი პროგრამა, ზოგიერთ გადაუდებელ ღონისძიებას მოუმზადებელი შევწვდით და შედეგებს კარგახანს მოვიმით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენი ხანია ვქადაგებ, რომ აუცილებელია ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის პროგრამა, მაგრამ ამაოდ. დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკის პირობებში ქართველი კაცი სოფლად მიტოვებულ მამა-პაპისეულ კარ-მიდამოს, ზოგ შემთხვევაში კი ოჯახსაც, აღარ დაუბრუნდება! ქვეყნის შიდა ბაზრის დაუცველობის პირობებში ლოზუნგებით, დაპირებებით, თხოვნით, ქართველი კაცი თავის შშობლიურ მიწაზე, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელ კონკრეტუნარიან (ერთეულ პროდუქციაზე შრომის დანახარჯებს ვგულისხმობ) პროდუქციას ვერ შექმნის. გამოსავალი ერთადერთია – პრობლემები ქვეყანამ საბაჟო გადასახადების მოწესრიგებით უნდა გადაწყვიტოს". (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, ივლისი, 2004 წელი).

პროფესორ ვ. პაპავას მიაჩნდა და მიაჩნია, (ვლ.პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონო-მიკა და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი, 2002წ) რომ:

„სახელმწიფოლს მხრიდან გაზრდილ და დიფერენცი-რებულ საბაჟო ტარიფების სისტემაზე დამყარებული პრო-ტექციონისტული პოლიტიკის გატარება ქვეყნის ინდუ-სტრიული განვითარებისათვის დამღუპველი იქნებოდა“.

„საქართველოს სინამდვილეში პროტექციონიზმის ადეპტები უწინარეს ყოვლისა მრეწველები არიან, რამეთუ მათი ინტელექტუალური პოტენციალი სოფლის მეურნე-ობის წარმომადგენელთა პოტენციალს ჯერ კიდევ კომუ-ნისტურ ეპოქაშიც კი აშკარად სჭარბობდა“. (კომენტარის გაკეთება უხერხულად მიმაჩნია, მისი აბსურდულობის გა-მო).

„ამ მიზნის (იგულისხმება ქვეყნის ეკონომიკის აღმა-ვლობა) მიღწევის საუკეთესო საშუალება, მსოფლიოს სა-ვაჭრო ორგანიზაციის წევრობაა, რომლის უმთავრესი ფუ-ნქცია სწორედ ამგვარი ბარიერების მოშლაა“.

„იმპორტულ და სამამულო პროდუქტებზე აქციზის დიფერენციაციის მოთხოვნას პოსტსაქმოსნები საკმაოდ ხშირად ითხოვენ“.

„დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზე-ბის დაწესებით სამამულო ბაზრის დაცვის მხარდამჭერი, პოსტსაქმოსანთა უმრავლესობაა და მას ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონში საკმაოდ ძლიერი ლობი ჰყავს; ამ ვარიანტს სამწუხაროდ, ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა დიდი ნაწილიც იზიარებს“.

— „საქართველოს შიდა ბაზრის „დამცველთა“ შორის პერიოდულად ისეთი უკიდურესი მოსაზრებებიც კი გაისმის, რომ რამდენიმე წლით საერთოდ ჩავტეტოთ საზღვრები...ჩაკეტილი საზღვრების პირობებში ქვეყნის შიგნით საბაზრო სისტემის ჩამოყალიბების შეხედულებებს გარკვეული პირობითობით შეიძლება „საბაზრო სტალინიზმის“ კვალიფიკაცია მივცეთ“.

— „პოსკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნების მრეწველობისათვის პროტექციონისტულ პოლიტიკას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, რომლის გამოსწორებაც ძალზედ ძნელი იქნება“.

— „მართალია ამ შემთხვევაში დასაქმება გაიზრდება მაგრამ... დასაქმების ამგვარი ზრდა ქვეყნის ჩამორჩენილობის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა და მას არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხელი შეეწყოს“.

ამ შემთხვევაში ჩვენს ამოცანას და მიზანს რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს პროფ. ვლ. პაპავას ნააზრევთა სრულში ანალიზი, მაგრამ გამართლებული არ იქნება გვერდი ავუაროთ და სათანადო აქცენტები მაინც არ დავსვათ ზოგიერთ მის, ანუ ჩვენთვის მიუღებელ დებულებებზე. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით მას, რომ:

— ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისათვის დამღუკველი იქნებოდა პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება; ჩვენი მთავარი მიზნის მიღწევის საშუალება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობაა; სამამულო ბაზრის დაცვის მხარდამჭერები პოსტსაქმოსნები არიან; საგარეო და ვაჭრობის პროტექციონისტულ რეჟიმს სხვადა-

სხვა დარგების პერსპექტიული განვითარებისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს; ხელისუფლებაში მოსული მრეწველობის წარმომადგენლები თავიანთი ლობისტობით ღუპავენ იმ დარგს, რომლის ინტერესების დაცვასაც ფიქრობენ და ცდილობენ; დასაქმების ამგვარ ზრდას არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება ხელი შეეწყოს და სხვა.

ზემოთ აღნიშნული პოზიციების გასამაგრებლად ბატონი ვლ. პაპავას დიდი ილიას ერთი ბრძნული გამონათქვამი მოჰყავს, რომელიც ასე უდერს: „ქვეყნისათვის, ყველასათვის, ერთნაირად ღია ბაზარი უმჯობესია, იმიტომ რომ ყოველის კაცისათვის ისა სჯობია, საშუალება პქონდეს, საჭირო საქონელი იქ და იმისგან იყიდოს, საცა და ვისაც უფრო კარგი საქონელი აქვს და უფრო იაფი ჩემ-შენაობის გაურჩევლად“. ამ გამონათქვამით კიდევ ერთხელ დასტურდება დიდი ილიას გენიალობა და ზოგადსაკაცობრიო პრობლემების უზადო განჭვრეტის უნარი, მაგრამ რა თქმა უნდა, იგი ვერ წარმოიდგენდა, რომ სამწუხაროდ, მისი სამშობლო, XXI საუკუნის დასაწყისში, ეროვნულ ცნობიერებაზე დამყარებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფციისა და პროგრამის უქონლობის გამო, მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებს შორის აღმოჩნდებოდა და მისი გადარჩენისათვის აუცილებელი იქნებოდა ექსტრემალური, გადაუდებელი, ეტაპობრივი ღონისძიებების გატარება, რომელიც საქართველომ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ყველა რეგიონისათვის დამახასიათებელი მთავარი ნიუანსების გათვალისწინებით და არა რომელიდაც ქვეყნებისათვის, ვიღაც-ვიღაც დაქირავებული სპეციალისტების მიერ სხვადასხვა მიზნებით დამუშავებული

პროგრამების გამომდერებით.

აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით ზოგიერთ თეორეტიკოსს, რომ ნებისმიერი ბარიერი, რომელსაც სახე-ლმწიფო შიდა ბაზრის დაცვისათვის აღმართავს, წარმოგული პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა და ახალი ტექნოლოგიების რეალიზაციაზე საერთაშორისო კონკურენციის სასიკეთო ზეგავლენას ზღუდავს. ზოგადად და თეორიულად რა თქმა უნდა, ეს ასეც არის, მაგრამ კონკრეტულად საქართველოს სინამდვილეში, არაორდინალური, გადაუდებელი ღონისძიებები რომ უნდა გატარდეს შიდა ბაზრის დაცვის, ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკის რეგულირების მიზნით, ეს ალბათ საკამათო არ უნდა იყოს, რადგან ანალოგიურ თეორიებზე აღმოცენებული და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ ჩვენთვის მიუღებელი რეცეპტებით განხორციელებული „უანგარო დახმარებების“ შედეგად რაც გვჭირს, ყველას კარგად მოგეხსენება. და მაინც, თუ ვინმეს ჩვენთან კამათის ან სხვა საწინააღმდეგო პოზიციის მტკიცების სურვილი გაუჩნდება, მაშინ მათ ყურადღებას რამდენიმე ფაქტს მივაჰყობთ.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები განადგურებულია. მისი აღორძინების ალბათობა, ხელისუფლების დაპირებების მიუხედავად, ნულის ტოლია. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დასაქმება ნომერ პირველ თავსატეხ პრობლემიად უნდა გაუხდეს ქვეყანას. ასეთ პირობებში ვსვამ კითხვას – თუ სახალხო მუსურნეობის რომელიმე დარგში, ვინმე, გმირობის ტოლფას ქვედებას ჩაიდეს და რომელიმე დარგის

აღორძინებას შეეცდება და სათანადო შედეგებსაც მიაღწევს, სახელმწიფოს მხრიდან რაიმე მხარდაჭერა არ უნდა მიიღოს? მხარდაჭერაში, რა თქმა უნდა, არც შეღავათიან კრედიტებს, არც საგადასახადო შეღავათებს, არც ქონების პრივატიზაციაში გამონაკლისებს და არც სხვა დათმობებს ვაკულისხმობ. ყველა ამ პრობლემას მეწარმე თავად მიხედავს, ხალხსაც დაასაქმებს და ქვეყნის ბიუჯეტსაც ასარგებლებს. სახელმწიფოსგან მას მხოლოდ დაცვა (ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით) სჭირდება. დაცვა სახელმწიფო და სხვა რეკეტისაგან, დაცვა ფალსიფიკაციისგან, პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება, დაცვა უცხოეთიდან დემპინგური ფასებით შემოტანილი პროდუქციისაგან და სხვა. ეკონომისტების ენაზე თუ ვიტყვით, აუცილებელია ელექტროარული საინვესტიციო გარემოს შექმნა. სახელმწიფო ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას თუ ვერ შეძლებს, მაშინ ის არ იქნება სახელმწიფო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და მის წარმომადგენლებს ნურც ამბიციური პრეტენზიები ექნებათ, რომ ჩვენ „ეპროპელები“ ვართ.

დამეთანხმებით, რომ ჩვენ ქვეყანას, სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელ დარგებში შეუძლია აწარმოოს მსოფლიო ბაზრის კონკურენტული პროდუქცია და აქედან გამომდინარე, სახელმწიფო სწორედ ამ დარგებისადმი დამოკიდებულებას უნდა აქცევდეს განსაკუთრებულ ყურადღებას.

საბედნიეროდ, ასეთი პროდუქციის გამოშვების პრეცენდენტები ქვეყანაში არსებობს და ი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ სახელმწიფო თავის ფუნქციას შეასრულებს,

თუნდაც ზემოთ აღნიშნული პოზიციების ჭრილში. საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს.

ერთმა ჩემმა ახლობელმა, ცნობილმა მეწარმემ, მართლაც რომ გმირობა ჩაიდინა და პირადი ინვესტიციების ხარჯზე მოახდინა ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, თუმცა სიმძლავრითშედარებით მცირე ჰიდროელექტროსადგურის პრივატზაცია და რეაბილიტაცია. პროდუქცია გამოუშვა, თუმცა მისი რეალიზაცია სხვადასხვა ბარიერების გამო პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა, ანუ გამომუშავებული ელოექტროენერგიის რეალიზაცია ვერ მოახდინა.

დღეს რომ კაცი საქართველოში სახელმწიფოსგან ყოველგვარი თანადგომის გარეშე ანუ სრულიად დამოუკიდებლად ხორბალს მოვიყვანს და მის რეალიზაციას ვეღარ შეძლებს, სად არის მაშინ სახელმწიფო?

შეიძლება ვინმემ იკითხოს, კი მაგრამ სახელმწიფო აქრა შუაშიაო? მათ საყურადღებოდ, ყოველგვარი კომენტარის გარეშე გავიმეორებ ჩემს მიერ ადრე გამოქვეყნებულ და საკმაოდ გახმაურებულ ოთხ შეკითხვას, რომელთა ირგვლივაც მზად ვარ, ნებისმიერი ცივილური ფორმით, ჩემს ოპონენტებთან გავმართო სათანადო პოლემიკა. აი ეს შეკითხვებიც:

1. ქვეყანაში ახლად გახსნილ 10 საწარმოს, სადაც მუშაობს 100 კაცი, ქვეყნის ბიუჯეტში თვეში შეაქვს ერთი მილიონი ლარი. მეორე შემთხვევაში იგივე ერთი მილიონი ლარი ბიუჯეტში თვეში შეაქვს 100, ანუ ათჯერ მეტ ახლად გახსნილ საწარმოს, სადაც დასაქმებულია 1000, ანუ ათჯერ მეტი მუშახელი. ყველა სხვა თანაბარ პირო-

ბებში სახელმწიფოსათვის მეორე ვარიანტი უფრო მომგებიანი რომ არის, ეს შეიძლება სადაო გახდეს?

2. რა უფრო მომგებიანია ქვეწისათვის, ერთი ჭონა მარცვლეული უცხოეთში შეიძინოს 100 აშშ დოლარად, თუ ადგილობრივი მეწარმეს მიერ წარმოებული, ყველა პარამეტრით იგივე ხარისხის მარცვლეული – 120 აშშ დოლარად?

3. ქართველი გლეხი ვენახს რომ აჩეხავს და მის სანაცვლოდ სხვა უფრო „მომგებიან“ საქმეს ეწევა, ამაზე სახელმწიფომ მომავალი თაობების წინაშე პასუხი არ უნდა აღოს?!

4. საქართველოში, რის ვაი-ვაგლახით, მსოფლიო სტანდარტების დონეზე წარმოებულ მტკნარ, მინერალურ, ხილეულ წყლებს და უალკოჰოლო სასმელებს; რძის, მაკრონისა და თამბაქოს ნაწარმს; ფრინველის ხორცსა და კვერცხს; საკონსერვო პროდუქციას; ლუდს, ღვინოს და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს, თუნდაც საქართველოს ბაზარზეც რომ შეექმნებათ თავიანთი საქონლის რეალიზაციის პრობლემები ამ საკითხზე სახელმწიფომ არ უნდა იფიქროს?

ჩვენი ღრმა რწმენით, სახელმწიფომ მარტო კი არ უნდა იფიქროს, არამედ სახელმწიფოებრიობის გარკვეული დონის მიღწევამდე თითოეული ამ დარგისა და საწარმოს ჭრილში მათთან ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმებიც კი უნდა გააფორმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა ვერ გადარჩება! ვიმეორებ, ამ ეტაპზე ეს ასეა საჭირო! ხოლო, როცა საქართველო ნამდვილ სახელმწიფოს დაემსგავსება ამ სიტყვის პირდაპირი და სრული მნიშვნე-

ლობით, ანუ როცა სახელმწიფო იზრუნებს ხალხზე, ხოლო ხალხი – სახელმწიფოზე, მაშინ დავიჭიროთ ხელში ბატონები ცნობილი თეორეტიკოსი ეკონომისტების ლოზუნგები და მატარებლის იმ ვაგონში ჩავსხდეთ, რომლის ბილეთის აღების საშუალებასაც ჩვენი ჯიბე გაწვდება. გვახსოვდეს, რომ უბილეთოდ, საერთაშორისო მატარებლით ვერ ვიმგზავრებთ. მანამდე კი სახელმწიფომ ხელი არ უნდა დაიბანოს მეწარმეთა პრობლემებისაგან.

სამწუხაროდ, ჩვენი „თეორეტიკოსები“ საქართველოს კოლაფსიდან გამოყვანის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად საერთაშორისო ბაზართან ქვეყნის შიდა ბაზრის სრულ ინტეგრაციას მიიჩნევენ. პრაქტიკულად კი ძნელია მსოფლიო რუკაზე მოიძებნოს ქვეყანა (ისინი აბსოლუტურ უმცირესობაში არიან), რომელიც სხვადასხვა ფორმით და მასშტაბებით არ ანხორციელებდეს თავისი ქვეყნისათვის მისაღებ საგარეო ვაჭრობის პროტექციონისტულ რეჟიმს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ, ერთ კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან და თავად განსაჯეთ მათი ეკონომიკური პოლიტიკის ავკარგიანობა.

ნებისმიერი ცივილური ქვეყნის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგები, როგორც წესი, სარგებლობენ პროტექციონისტული პოლიტიკის სიკეთით. უფრო მეტიც, დოტაციის გარეშე არ არსებობს არც ერთი განვითარებული ქვეყნის სოფლის მეურნეობა. მაგალითად, ეპროკავშირში შემავალი 15 ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული მოსახლეობის მხოლოდ ხუთი პროცენტი მოიხმარს ევროკავშირის ბიუჯეტის ნახევარზე მეტს. ამ ხარჯებს

ემატება აღნიშნული ქვეყნების კუთვნილი ბიუჯეტიდან სა-სოფლო-სამეურნეო წარმოების სუბსიდირებაზე გამოყოფილი თანხებიც. ე.ი. თეზა იმის თაობაზე, რომ საბაზრო ეკონომიკა თავად დაარეგულირებს ყველა პრობლემას, არც ამ შემთხვევაში არ მართლდება.

როცა საუბარია სახელმწიფოს მხრიდან უმნიშვნელოვანესი პროცესების მართვის ანუ რეგულირების აუცილებლობაზე, თვითდინებაზე ყველაზე აქტუალური პრობლემის მიშვება ანუ დერეგულირება დანაშაულის ტოლფასია ე.ი. ამ შემთხვევაში პირველ პლანზე უნდა წამოიწიოს სახელმწიფო ანუ ხალხის ქონების განიავების, უფრო სწორედ ერთეულთა ხელში მისი უსინდისოდ ხელში ჩაგდების ჯერ არნახული და არგავონილი ფაქტები. იმისათვის, რომ პასუხი გაცემ ყველაზე აქტუალურ შეკითხვებს, თუ რა მდგომარეობაში იყო ქვეყანა ამ მიმართებით საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების საწყის ეტაპზე, რა მდგომარეობაა დღეს და რა უნდა გაკეთდეს მომავალში ამ მიმართებით, გაგაცნობთ ერთ ამონარიდს ჩემივე სტატიდან: „ვინ რას მიიღებს ტოტალური პრივატიზაციიდან“ (ჟურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობა, №3, ივლისი, 2004) და დასკვნები თავად გააკეთეთ.

„ჯერ კიდევ დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის საწყის ეტაპზე ამ საკითხის შესასწავლად ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობის დავალებით, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი, მივლინებული გახლდით ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკაში, მოსკოვში და ახლანდელ სანკტ-პეტერბურგში. მათი გამოცდილებისა და ამ მიმართულებით შედგენილი მი-

მდინარე და პერსპექტიული გეგმების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მოვამზადე სათანადო რეკომენდაციები. სამწუხაროდ, რეკომენდაციები ქაღალდზე დარჩა. დიას, არც ერთი მათგანი არ მიიღეს და შედეგად მოსახლეობას საბოლოოდ თითო „მკვდრადშობილი“ ვაუჩერი შერჩა ხელში, ხოლო ზოგიერთმა „სახელმწიფო მოღვაწეებ“ ამღვრეული წყლის პრინციპიდან გამომდინარე, ზომაზე მეტად იხეირა. ამას ახლა პირველად არ ვამბობ. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთმა მაშინდელმა ხელმძღვანელმა და დაქირავებულმა უკრნალისტმა ჩემს მიერ გაცხადებული პოზიციის გამო ლამის, საბაზრო ეკონომიკის მტრად გამომაცხადა, თუმცა... ისე აგინდეთ ყველაფერი, როგორც ჩემი პროგნოზები ახდა.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, სმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ სახელმწიფომ თავის ქონებას ვეღარ მოუარა და ძველებური მიღვომით აღბათ ვეღარც მომავალში მოუვლის. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა სახელმწიფო, ანუ სალხის ქონებაზე მესაკუთრის ოპერატიული, სწორი და ობიექტური განპიროვნება ანუ ქონების განსახლების საკითხის სახელმწიფოებრივად გადაწყვეტა. თუმცა, ძალზე მოკლედ და ყველასათვის გასაგებად თუ ვიტყვით, ასარჩევია ეგრეთ წოდებული ოქროს შუალედი იმის აუცილებელი გათვალისწინებით, რომ, სამწუხაროდ, დღეისათვის საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ ქონების განკერძოებაში ვერანაირ მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ოპონენტები მეტყვიან, რომ სამაგიეროდ უცხოელებზე გაყიდული ქონებიმდან მიღებული შემოსავალი ხალხს მოხმარდება. კი ბატონო, საუკეთესო შემთხვევაში ეს ასეც უნდა მოხდეს, მაგრამ მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რამდენად მიზანმიმართულად და ეფექტურად გამოვიყენებთ ტოტალური პრივატიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს. თუ ეს შემოსავლები მოხახლეობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილს დაურიგდა პენსიებისა და ხელფასების დავალიანებების დასაფარავად, ან, თუნდაც, მათი გაზრდისათვის, ეს დროებითი ღონისძიება იქნება და გაფრცელდება მოხახლეობის მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე (მოხახლეობის დიდი ნაწილი საპენსიო ასაკის არ არის და არც სახელმწიფო ხელფას არ დებულობს), რაც ქვეყნის კონომიკას უფრო მეტ კატასტროფამდე მიიყვანს. აქედან გამომდინარე, პრივატიზაციის პროცესის დაწყებამდე ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს პრივატიზაციიდან მისაღები მოხალონდელი თანხის შემდგომი გამოყენების კონკრეტული პროგრამა, რომლის ფორმულა უნდა იყოს მარტივი და ამოხსნას ამოცანა – რომელი საწარმოები ავამუშავოთ მიღებული შემოსავლებიდან და როგორ გავანაწილოთ ამ საწარმოების ამუშავების შედეგიდან მიღებული მოგება ქვეყნის უკლებლივ ყველა მოხახლეზე. ერთი სიტყვით, თუ გინდა, რომ მომავალში მაინც გვეშველოს, ქვეყნის კონომიკური განვითარების პროგრამის შეფასების მთავარი კრიტერიუმი უნდა გახდეს ამ ამოცანის ოპერატორი და ობიექტური გადაწყვეტა. მაქვს სახალხო ქონების პრივატიზაციის სწვა სქემაც, რომელზეც

## მომავალში ეისაუბრებთ“.

დღეს ისეთი სიტუაციაა, როცა ყველამ ყველაფერი იცის და სხვისი აზრი არ აინტერესებს. ალბათ ამ მიზე-ზით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით, აღნი-შნულ პრობლემასთან დაკავშირებით არც ერთი დაინტე-რესებული შხარე არ შეგვხმიანებია!

და ბოლოს, რამდენიმე კონკრეტული წინადადება:

1. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გა-დაწყვეტაში სახელმწიფოს როლი, როგორც მარეგულირე-ბელი რგოლისა, თანდათან უნდა გაიზარდოს მანამ, ვიდრე იგი რეალურად არ უზრუნველყოფს ერთ სულ მოსა-ხლებე საარსებო მინიმუმისა და შემოსავლის დონის გა-თანაბრებას. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს უფლება სახე-ლმწიფოს იფიქროს დერეგულირების პროცესების დონის თანდათანობით ამაღლებაზე.

2. საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება ეროვნულ კონცეფციაზე დაფუძნებული ანუ ეროვნული ტრადიციების დაცვისა და შენარჩუნების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამუშავებული ეკონომიკის გარვითარების პროგრამა, რომლის ბალავარს უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის ცალკე-ული რეგიონების ბუნებრივ, საწარმოო და სხვა თავისე-ბურებათა მაქსიმალური გათვალისწინება. რაც მთავარია იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სხვა რომე-ლიმე ქვეყნის ანალოგიურ პროგრამაზე მიმსგავსებული დოკუმენტი, რაც სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში არც თუ იშვიათად ხდებოდა და ხდება. პირიქით, ის უნდა იყოს ქვეყნის ცალკეული რეგიონების ანალოგიური პროგრამე-ბის ჯუმლი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მხო-

ლოდ ამ შემთხვევაში გაიზრდება სახელმწიფოს, როგორც მმართველობითი რგოლის ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი, რათა თავის თავზე რეალურად აიღოს პასუხისმგებლობა ქვეყნის მოსახლეობის სოციალური და ფიზიკური დაცვის ყველა მიმართულებით. მხოლოდ ასეთ პირობებში აქვს სახელმწიფოს უფლება თავის თითოეულ მოქალაქეს მოსთხოვოს სახელმწიფო ონტერესების გათავისება და მათი აუცილებელი დაცვა.

სწორედ პრობლემებისადმი ამგვარი დამოკიდებულება უნდა გახდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კონცეფციაზე დაფუძნებული ქვეყნის გადარჩენის პროგრამის შეფასების მირითადი კრიტერიუმები.

3. ჩვენი და არა მარტო ჩვენი პოზიცია, რომელსაც სამამულო ბაზრის დაცვა ეწოდება, დამყარებულია დიფერენცირებული ტარიფებისა და აკციზების დაწესებაზე და არა რამე საქონლის ექსპორტ-იმპორტის აკრძალვაზე, რასაც ჩვენი პოზიციების მოწინააღმდეგენი, როცა დაჭირდებათ ჩვენს საწინააღმდეგო არგუმენტად ასახელებენ. აქედან გამომდინარე, ვიდრე აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ცოტა ღრმად ვიმსჯელებთ, კიდევ ერთხელ ხმამაღლა გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ სახელმწიფო პრობლემების აკრძალვის პრინციპებით რეგულირების ყოველგვარი გამოვლინებისა. პრობლემები უნდა დარეგულირდეს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური პრინციპებითა და კანონზომიერებებით, რადგან სხვაგვარი მიღებომებით, როგორც წესი, ამ პრობლემებისადმი დამოკიდებულებას საბოლოო ჯამში ნებატიური მოვლენების წინაპირობების წარმოქმნასთან მი-

ვყავაროთ. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, რამდენადაც გასა-კვირი და შოკის მომგვრელი არ უნდა იყოს, გამართლე-ბულად არ მიგვაჩნია ანალოგიური ფორმებით, ანუ აკრძა-ლვებით, თუნდაც ნარკომანიასთან „ბრძოლის“ მოქმედი მეთოდები (ამ თემაზე დაწვრილებით, შემდეგში).

შიდა ბაზრის დაცვის ჩენეული პოზიციის კატეგორი-ული წინააღმდეგი იყვნენ და არიან საერთაშორისო საფი-ნანსო ორგანიზაციები და მათ შორის საერთაშორისო სა-ვალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი.

4. მატერიალური წარმოების ამა თუ იმ დარგისადმი საბაჟო პრივილეგიების დადგენის მოწინააღმდეგები თავი-ანთ პოზიციებს იმით ასაბუთებენ, რომ ამ დარგებში შე-იქმნება სასათბურე პირობები და იგი გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას, ანუ გაჩნდება იმის „საფრთხე“, რომ სხვა და-რგის საწარმოებმაც დააღწიონ თავი კოლაფსურ მდგომა-რეობას. რა თქმა უნდა, ამ პოზიციასაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ სამწუხაროდ და რეალურად მრეწველო-ბის მთელ რიგ დარგებში როგორი პრივილეგიების სისტე-მაც არ უნდა შემოვიღოთ, მათი რეანიმაცია შეუძლებელი იქნება. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ში-ში იმის თაობაზე, რომ „ქვეყნის ინდუსტრიული განვითა-რებისათვის დამღუბველი იქნებოდა პროტექციონისტული პოლიტიკის გატარება“. პირიქით, როგორც ზემოთ აღვნი-შნეთ, ამ ეტაპზე ქვეყნის კოლაფსიდან გამოყვანისათვის, თუნდაც ტრადიციულ და პრიორიტეტულ დარგებში, აუ-ცილებელია გონივრულად და მეურნის პოზიციების გათვა-ლისწინებით განსაზღვრული მოქნილი, ეტაპობრივი და დიფერენცირებული საბაჟო ტარიფებისა და აქციზების და-

## წესება და ამოქმედება.

ჩვენი პოზიციებისადმი რადიკალურად განსხვავებულ დამოკიდებულებებს ემყარება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ამ ორგანიზაციის წევრი ხარ, უფლება არა გაქვს, შენს ქვეყანაში, თუნდაც, გარკვეულ ეტაპზე ან ცალკეულ საქონელზე შემოიღო ეროვნული მეურნეობისათვის ხელსაყრელი საგარეო ვაჭრობის რეჟიმი.

P.S. ჩვენი პოზიციების განსამტკიცებლად ორ ამონარიდსაც გაგაცნობთ და საბოლოო დასკვნები მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთეთ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგრამა (ძირითადი მიმართულებები) ას გააჩნია და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად საექიმონიკო საფინანსო ორგანიზაციის მიერ დაფუძნებით (სსფ, მსოფლიო ბანკი და სხვა) ინსტრუქტორთა დაფუძნებული, ხომელიც ახსებითად გამოიიცხავს უხადისიერი დაბეჭდების განვითარებითა და აღგირებითი ხესუხსების მაქსიმალურად გამოყენებით ქართული ეკონომიკის აღმინდინების შესაძლებლობებს. ჩვენი სამწევაშო, ხელისუფალთა პერსონალურ ცვლას ეკონომიკური განვითარების უქსის პოზიციური ცვლა ას მოჰყონია, ხას ქვეყანას გაუჩივეველი მომავლის საშიშომების წინაშე აყენებს.

(უურნალი „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №5, სექტემბერი, 2004წ. გვ.47, რედაქციის მინაწერი).

“ყველამ ვიყით, ჩა ღლეშიც ვახო. ყველას ეხოთი მთა-  
ვახი კითხვა გვაწუხებს: ჩა გვეშველება? ჩვენი ხსნის  
ეხთაღეთ გზად შხმმა მიგვაჩნია. ყველა თავის საქმეს  
უნდა ღაუბჩენდეს: გლეხი – მიწას, მუშა – მანქანა ღანა-  
ღგაჲებს, ხელოვანი – ხელოვნებას, მეცნიერი – მეცნი-  
ეჲებას. თუ ვიშხომებთ, მაჭერიაღეთი საზროვანო გვექნება  
და სურიერიც. თანაც შხმმითი თეხაპის საყოველთამ  
ფსიქოზიდან გამოსვლის ყველაზე უფრო ეფექტუანი სა-  
შეაღებაა. პოლიციურსებმა იმაზე უნდა იზჩენონ, ჩოდ  
ჩვენი მოსახლეობის ყოველ ფენას მუშაობის ნორმალური  
პირობები ჰქონდეს..”

აკადემიკოსი ნიკო ჭავჭავაძე

## პრობლემა ნომერი პირველი

უველაფრის სიკვდილი შეიძლება,  
აზრისა კი თავის დღეში არა.

ოლა

პოლიტიკა მალჲე რთული საქმეა,  
რომ ის პოლიტიკოსებს განდოთ!  
**შარლ დე გოლი**

ადამიანები იღლებიან არა იმით,  
რომ ბევრს მუშაობენ, არამედ იმით,  
რომ არ იციან როგორ იმუშაონ.

**თ. დოსტოევსკი**

სიბრმე გამოცდილების შეილია.  
**ლეონარდო და ვინჩი**

კანონი რამდენადაც სამართლიანიც  
უნდა იყოს, მალის გარეშე უნულზე და-  
წერილი თამასუქია.

**არჩილ ჯორჯაძე**

თემის ჩამოყალიბების სქემას არც ამჟამად გადავუხვევ-  
ე. გ. ჯერ შემოგთავაზებთ ჩვენს მიერ ადრე ჩამოყალიბე-  
ბულ პოზიციას, რომელიც გამოვაქვეყნეთ გაზეთში „სა-

რკმელი საქართველოსი“ (ნოემბერი, 2003წ.) და შემდეგ მოგახსენებთ ჩვენს დღევანდელ ხედვას ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან დაკავშირებით.

სამსედრო აღმშენებლობის, სამობილიზაციო მომზადებისა და რეზერვების შექმნის აუცილებლობაზე საუბარი ზემოთ აღნიშნულ სტატიაში დავიწყეთ ციტატით, ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის, ბატონ ელიაშვილ შევარდნაძის გამოსვლიდან, რომელიც შემდეგნაირად ულერს:

„ნაცოში გასაჩერტიანობლად აუცილებელია სახელმწიფოს ერთიანი გაცემით სიცოცხვის მოღირნიშავია; საძართვალო ზერ განახორცილებს სამსედო მშენებლობის ურთელეს პროცესს, თუ არ ჩამოყალიბდა ეგრეთ წარმომადგენ „სამსედო ინცილიგნცია“. ოცნა ვსაუბრობთ ჯარისკაცების, ათიცერების, გრძელების, მთლიანად შეიარაღებულ ძალების უნიკალურობის, სამოგადოების უნდა იცოდეს, რომ სწორები ეს ფენაა ყველაზე პრიორიტეტული, საამავი და, თუ გრძელავთ პრიორიტეტულიც. შემაშევთ მომზადებელია სწორების, რომ დართვალ ჯარისკაცებს შორის, თითვის ვერ ნახავთ შეძლებული თქანების შეილებს. არადა, როგორც ჯარში სამსედო გალიერების შეძლებული და გაზღინიანი თქანების შეილებიც მოიხდიან, გაცილებით მცირდი იქნება კონცერტოლი, მხეარდაჭრა და პასუხისმგროლობა იმ სამსედო ნაწილების ინთერასცერტეფერტისადმი, სადაც მათი შეილები იმსახურებან; დადგა დრო შეიარაღებული პალების მშენებლობასთან ერთად, სახელმწიფოს სამსედო პროცესის ძირითად მიმართულებად ვაჭიცით სამობილიზაციო ტექნიკურების შექმნა. ამ მხრივ უნიკალური გამოცდილება დაგროვდა

## მსაფლიოს მრავალ ქვეყანაში (შვეიცარია, ისრაელი)“.

დამეთანხმებით, რომ თემა არახალია და არც ქვეყნის მაშინდელი პირველი პირის პოზიცია იყო ბუნდოვანი, რასაც ახლა, არც თუ იშვიათად ხმამაღლა გაიძახიან ისინი, ვისაც ამის მორალური უფლება არ გააჩნია.

ახლა კი გავაგრძელოთ ჩვენს მიერ ადრე, ამავე სტატიაში გამოთქმული ზოგიერთი ციტატის გაცნობა და მხოლოდ ამის შემდეგ გაახლებთ დასაწყისში შეპირებულ დღევანდელ ხედვას.

„როდესაც პრეზიდენტის გამოსვლასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთების სურვილი გამიჩნდა, დავიოქრდი — მე, ეკონომისტ კაცს, რომელსაც ჩემს დროს დამკინდობული უკუღმართი ნორმების გამო, საგალდებულო სამსედრო სამსახურიც კი არ გამივლია, მაქვე კი უფლება საკუთარი აზრი გამოვთქვა სამსედრო აღმშენებლობის პრობლემასთან დაკავშირებით? ბევრი ფიქრის შემდეგ, ასეთი უფლება თავად მივეცი ჩემს თავს შემდეგი გარემოებების გამო. ჩემი ძმა რუსლანი და მე დავიბადეთ განურებული ომის დროს სამსედრო მოსამსახურის — თბილისის საარტილერიო სახწავლებლის კურსდამთავრებულის, შემდგომში კურილის კუნძულების პირველი საბჭოთა გუბერნატორის, ლევან ბაბუნაძიას და ნინო შავდიას ოჯახში — წყნარი ოკეანის სანაპიროზე, შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე. დემობილიზაციის შემდეგ ომიდან დაბრუნებულმა ოფიცერმა მუშაობა დაიწყო სამსედრო საქმის მასწავლებლად ქუთაისის ვაჟთა პირველ და რკინიგზის მეოცე საშუალო სკოლებში. შვილებსაც „სამსედრო

წესებით” გვზრდიდა; მის მიერ დამტკიცებული დღის რეჟიმის დაცვა სავალდებულო იყო; დაძინების წინ, საწოლთან უნდა დაგვეწყო ტანსაცმლის სრული კომპლექტი, რათა დილით არ გვეძებნა რაიმე; ხშირად წამმზომით ხელში, საკუთარი ლოგინის გასწორებასა და სასწრაფოდ ჩაცმაშიც კი გვაჯიბრებდა ერთმანეთს; სკოლაში წასვლამდე ჩვენი წილი ოჯახური საქმეები უნდა მოგვევარებინა, მე. პურის მოტანა მევალებოდა (დიდი რიგები იყო), მეორე ძმას – ლუმელის დანთება, შეშის მომზადება, წყლის მომარაგება და ა.შ. ასე რომ, ზოგიერთი რამ, რაც ჯარში 2-3 წლის განმავლობაში უნდა გვესწავლა, მთელი ბავშვობის პერიოდი ოჯახში ვსწავლობდით და გვინდოდა თუ არ გვინდოდა, უყოყმანოდ ვასრულებდით. სხვა რომ არ შემომედავოს, მე თვითონ ვაღიარებ, რომ არც აფხაზეთის ომის მონაწილე გახლავართ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ 50 წელს მიღწეულს, იარაღი ხელში არასოდეს მჭერია. თუმცა, მთელი ომის პერიოდი საქართველოს საგანგებო სამთავრობო კომისიის წევრი გახლდით, რომელიც ომის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემებზე მუშაობდა.

ახლა კი დავუბრუნდეთ მთავარს.

იმისათვის, რომ სამსედრო სამსახური რეალურად გახდეს „სავალდებულო“, ქვეყანამ უნდა გაატაროს რადიკალური ღონისძიებები, რათა ის მართლაც იყოს პრესტიული და სავალდებულო. ჩემი აზრით, ამისათვის აუცილებელია:

— საშუალო სკოლებში და სხვა ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებში იმ დონეზე დადგეს სამხედრო სწავლება, რომ ბავშვებს განურჩევლად სქესისა, ბავშვობიდანვე გავუღვივოთ ინტერესი, პატივისცემა და მოწინება ამ პრესტიული საქმიანობისადმი;

— ნებისმიერ უმაღეს სასწავლებელში და სხვა ანალოგიურ სასწავლო დაწესებულებებში რადიკალურად გარდაიქმნას სამხედრო სწავლების სისტემა და ამასთან ამ სასწავლებელთა კურსდამთავრებულები არ უნდა გათავისუფლდნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან;

— სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლა აუცილებელი მოთხოვნა უნდა იყოს მამაკაცებისათვის ქვეყნის საკანონმდებოლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დაწესებულებელში ნებისმიერი თანამდებობის (არჩევითიც და დანიშვნითიც) დაკავებისა;

— მამაკაცებმა, 60 წლის ასაკამდე, ყოველწლიურად გაიარონ ერთოვანი აუცილებელი სამხედრო სამსახური სამუშაოდან მოწყვეტით, ამასთან ყოველგვარი შეღავათისა და გამონაკლისის გარეშე;

— შეღავათებისა და გამონაკლისების მიცემის უფლება ამა თუ იმ კონკრეტულ პიროვნებაზე დაამტკიცოს ქვეყნის პარლამენტის პლენარულმა სხდომამ, კანდიდატის აუცილებელი თანამდებობით...

ცოტას გადავუხვევ და ძალიან მოკლედ, სქემატურად გიამბობთ შვეიცარიაში სამობილიზაციო სამსახურთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს. ამ ქვეყანაში ერთ-

ერთი ჩასვლისას ოფიციალური შეხვედრა მქონდა რა-  
მდენიმე ბიზნესმენთან. მათ შორის ორთან, რომლებიც  
60 წლამდე ასაკისა იქნებოდნენ, შედარებით უფრო სა-  
ქმიანი კონტაქტები დაგამყარე და ამიტომ დაახლო-  
ებით ერთი წლის შემდეგ ისევ შვეიცარიაში, კვლავ  
მომიწია შათოთან შეხვედრა. პირველი შეხვედრისას ჩვე-  
ულებრივად სამუშაო საათებში ვიკრიბებოდით. მე-  
ორედ ჩასვლისას კი შეხვედრის დრო საღამოს 8-9 სა-  
ათზე დანიშნებ.

რა გაეწყობოდა?

შეხვედრაზე ორი სამხედრო ფორმიანი უცნო მამა-  
კაცი მოვიდა.

რა თქმა უნდა, გამიკვირდა, მაგრამ, როგორც კარგ  
ნაცნობს და ახლობელს, ისე რომ მომიახლოვდნენ და  
მომესალმწენ, ყურადღების მომენტალური დაძაბვით  
დავადგინე, რომ ჩემს წინ ის ორი ჩემი ნაცნობი შვე-  
იცარიელი ბიზნესმენი იდგა. გაკვირვება რომ შემა-  
ტყვეს, ჩემს შეკითხვას არ დაელოდნენ და თავად და-  
წვრილებით მიამბეს სამხედრო ფორმაში ჩემთან მო-  
სვლის მიზეზი.

ჩემს ათასგარ შეკითხვაზე დეტარული პასუხის შე-  
ძეგ დაფადგინე, რომ 60 წლამდე ასაკის შვეიცარი-  
ელი მამაკაცი, ჩინის, სოციალური მდგომარეობისა და  
სხვა ნებისმიერი მდგომარეობის მიუხედავად, ყოვე-  
ლგვარი გამოხაკლისის გარეშე, წელიწადში ერთხელ,  
ერთი თვით სდება სამსედრო მოსამსახურე ამ სიტყვის  
აბსოლუტური და პირდაპირი მნიშვნელობით.

სხვა უამრავ საკითხში შვეიცარიას ძალიან დიდხანს

რომ ვერ გავუტოლდებით, ამას მტკიცება არ სჭი-  
რდება, მაგრამ თუ ჩვენი ქვეყანა აღმზრდელობითი,  
სამხედრო აღმშენებლობისა და სამობილიზაციო საქმი-  
ანობის რეალურად გარდაქმნის მიზნით, სათანადო სა-  
ხელმწიფო პროგრამას შეიმუშავებს, მის აუცილებელ  
შესრულებას „სტალინური დისციპლინის“ დონეზე უზ-  
რუნველყოფს, მაშინ ქვეყნის ნომერი პირველი პრო-  
ბლემა თანდათან გადაწყვდება და საქართველოსაც ეშ-  
ველება. — დიდოროის გამეორებას კიდევ შევძლებთ!

ამ სტატიის სრული ქსეროასლი, როგორც ძველ ნა-  
ცნობს, პირადად გავუგზავნე მაშინდელი თბილისის საკრე-  
ბულოს თავმჯდომარეს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს, რო-  
მლის აპარატის უფროსმა დამირეკა და თავმჯდომარის მა-  
დლობა გადმომცა საინტერესო წინადადებისათვის, რო-  
მლებსაც აუცილებლად გაითვალისწინებდა მის შემდგომ  
მუშაობაში. ამის შემდეგ, ამ მიმართებით, რაც მოხდა და  
რაც ხდება ამაზე მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩე-  
რებ. ოღონდ ვიტყვი, რომ პრობლემისადმი სწორი და სა-  
ხელმწიფოებრივი მიღომის მიუხედავად, როგორც ყველა  
ახალ საქმეს, ჯერჯერობით მასაც გააჩნია გარკვეული ნა-  
კლოვანებები. კერძოდ:

— სადაოდ არ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ქვეყანა თა-  
ვის უპირველეს მიზანს, ანუ ქვეყნის გამთლიანებას ძალის  
გამოყენებით ვერ მიაღწიევს. ამიტომ სამხედრო ძალის დე-  
მონსტრირება და იარაღის უღარუნი და თანაც აფხაზე-  
თისა და სამაჩაბლოს სიახლოვეს, ბრძნულ ტაქტიკად და  
პოლიტიკად არ ჩაითვლება. მით უმეტეს, როცა პრესა და  
ტელევიზია ერთმანეთს უჯიბრება ჩვენი რეალური ძალის

გაყუქებულად წარმოდგენაში. პირველ რიგში, აქლოშინებული პარლამენტარები და მთავრობის წევრები გვყავს მხედველობიშ. არც იმის იგნორირება შეიძლება, რომ მილიტარისტული პოლიტიკის გატარება და დემოკრატობანას თამაში თავიანთი ბუნებით შორს არიან ერთმანეთვან.

—სამობილიზაციო საქმის სახელმწიფოებრივ დონეზე წარმართვა ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი რომ უნდა იყოს, ამაზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მაგრამ აქვე დავძენთ, რომ ყოველივე უნდა გაკეთდეს აწონილ-დაწონილად და ბრახა-ბრუხის გარეშე. არ მიგვაჩნია გამართლებულად, რომ მშვიდობიან პერიოდში, ქვეყნის პარლამენტართა დიდმა ნაწილმა მიატოვოს თავისი ძირითადი საქმე და „ომობანას თამაში“ დაიწყოს. პარლამენტის წევრებს ამ საქმიანობისათვის უამრავი თავისუფალი დრო აქვთ.

—საქართველოს ისტორიის საშუალო დონეზე მცოდნის პრეტენზია არ გამაჩნია, თუმცა თავისი მნიშვნელობით უფრო თავისმომჭრელი ლაპრობა, რაც ჩვენმა ნარჩევმა სამხედროებმა ჩაიდინეს სამაჩაბლოში ერთ-ერთი სპეცოპერაციის დროს (მათი მუხლებზე დაჩოქება მაქვს მხედველობაში), ჯერ არ გამიგია. უფრო მეტიც, ხმამაღლა ვაკცხადებ, რომ ბატონ ლევან სანიკიძის მიერ აღწერილი 309 ქართულ სირცხვილში ანალოგიური დონის ლაპრობა აღწერილი არ არის. ამ ფაქტის გამო, იმავ დღეს ქვეყნის პრეზიდენტი ან მინიმუმ პრემიერ-მინისტრი მაინც თუ არ გადადგებოდა დაკავებული თანამდებობიდან, მაშინ შესაბამისი მინისტრის გაძევებას წინ არაფერი არ უნდა დადგომოდა. ვიდრე ქვეყანა დაკისრებული მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას ასეთ დონეზე არ აიყვანს, საქართველო, როგორც სახელმწიფო არ შედგება!!!

## **შინაარსი**

- „საერთაშორისო სავალუტო ფონდი —  
სიკეთე თუ ბოროტება“! ----- 3
- რეგულირება თუ დერეგულირება ----- 14



## ანზორ ბაბუხაძია დაიბადა 1943

წელს შორეულ აღმოსავლეთში, სამხედრო მოსამსახურის, კურილის კუნძულების პირველი საბჭოთა გუბერნატორის ლევან ბაბუხაძიას ოჯახში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრებისთანავე (1966წ.) უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, როგორც გამონაკლისი, ნება დაერთო, საწარმოო სტაჟის გარეშე, სწავლა გაეგრძელებინა ასპირანტურაში.

განვლო გზა რიგითი ეკონომისტიდან საქართველოს მთავრობის მთავარ სახელმწიფო მრჩევლამდე. პარალელურად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობას.

წლების განმავლობაში მიწვეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პროფესიის ფაკულტეტებზე სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარევდ. დამთავრებული აქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემია.

მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდება და ღირსების ორდენი.

არის გაზეთ „თანადღომა“-ს გამომცემელი, გაზეთის „სარკმელი საქართველოსი“ რედაქტორი ეკონომიკის საკითხებში, უურნალ „ბიზნესი და კანონმდებლობა“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი, საქართველოს ბიზნესის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირის თავმჯდომარე, თავისუფალ მცირე მეწარმეთა ასოციაციის თანათავმჯდომარე, საზოგადოება „ბაგრატის ტაძარი“-ს პრეზიდენტი.